დადგენილება:**დ-27. 27240604**
თარიღი:**29/02/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 13

29 თებერვალი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მაყვალა სეხნიაძისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მინიციპალიტეტის მერს, მოქალაქე მაყვალა სეხნიაიძეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, **2 (ორი)** წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.41.328).
2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს **1300** (ათას სამასი) ლარით.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი